თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2022 წლის 13 აპრილი
რიგგარეშე სხდომის
ოქმი № 7

ქ. თერჯოლა 13 აპრილი 2022 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ზარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ზარათაშვილი, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. თემურ ქოჩიაშვილი, 4. ლაშა გურგენიძე, 5. იზა მაგრაქველიძე, 6. ბიძინა ბუცხრიკიძე, 7. კობა კაკვაძე, 8. ნინო მახათაძე, 9. ომარი ჯიხვაშვილი, 10. ბადრი ბუცხრიკიძე, 11. ჯემალ ისაკაძე, 12. ელისო მურადაშვილი, 13. მანუჩარ ფანჩულიძე, 14. შალვა ჭანკვეტაძე, 15. გრიგოლ გიორგაძე, 16. გოჩა ვერულაშვილი, 17. დავით გოგბერაშვილი, 18. კახა ბუცხრიკიძე, 19. რამინი რობაქიძე, 20. თამარ ახვლედიანი, 21. ფრიდონ გვენეტაძე, 22. დავით ცხადაძე, 23. ნატალია ასათიანი, 24. კობა კირკიტაძე, 25. როლანდი მესხი, 26. რუსუდან კოვზირიძე, 27. ივანე ჩუბინიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. ამირან ვერულაშვილი, 2. მერაბი ბასილაძე

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 29 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 27 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომა დაიწყო 12 00 სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 40 სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282209481, 04.05.2022 წ.);

   მომხს.: თ.ქოჩიაშვილი

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282209487, 04.04.2022 წ.);

   მომხს.: შ.ჭანკვეტაძე

3. საკრებულოს გამოკლებული წევრის, ლევანი კვატაიას ადგილმონაცვლის ტარიელ ფანჩულიძისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ;

მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

4. ა(ა)იპ „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის" მიერ მუნიციპალური ცენტრის ფილიალების-საბავშვო ბაგა-ბაღების 2021 წლის გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაციის წარდგენა.

მომხს.: მ. თორთლაძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 27 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მოხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა არ შეცვლილა და შეადგენს 22789.3 ათას ლარს.
ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 5.0 ათასი ლარით (მერიის სახელფასო ფონდი).
ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 5.0 ათასი ლარით (სოციალური დაცვა).

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20 , წინააღმდეგი - 7

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება № 9, 13.04.2022 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - წარმოდგენილი სოციალური პროგრამის პროექტით (ბიუჯეტი 5000), რომლის შექმნაც განაპირობა მუნიციპალიტეტში რამოდენიმე უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებით წარმოქმნილმა სირთულეებმა, უზრუნველყოფილი იქნება თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის (რომელსაც არ ჰყავს პირდაპირი მემკვიდრე დედა, მამა, მეუღლე, ბაბუა, ბებია, შვილი (გერი, შვილიშვილი) სარიტუალო მომსახურებით (დაკრძალვით) – მან საკრებულოს წევრებს მიმართა წინადადებით ერანგოზის მიერ მოხსენებული გამოსაყენებლის ახალი

რედაქციით ,, თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურეობა (რომელსაც არ ჰყავს/ან არ იძებნება, პირდაპირი მემკვიდრე დედა,მამა,მეუღლე, და/ძმა, ბაბუა, ბებია, შვილი/გერი, შვილიშვილი" - რასაც დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი ცვლილებით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 27 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29221031, 13.04.2022 წ.).

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს გამოკლებული წევრის, ლევანი კვატაიას ადგილმონაცვლის ტარიელ ფანჩულიძისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

გადაწყვიტეს: ცნობად იქნას მიღებული საკრებულოს გამოკლებული წევრის, ლევანი კვატაიას ადგილმონაცვლის ტარიელ ფანჩულიძისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29221032, 13.04.2022 წ.).

4.

მოისმინეს: მოხსენებელმა, ა(ა)იპ ,,თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის" დირექტორმა მაია თორთლაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო ცენტრის მიერ 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

გადაწყვიტეს: დამაკმაყოფილებლად შეფასდეს ა(ა)იპ ,,თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის" მიერ 2021 წელს გაწეული მუშაობა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 აპრილის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი